# IBSU NEWS

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჟურნალისტიკა, მე-2 კურსი

2016 წლის 30 დეკემბერი, პარასკევი


## რედაქტორის სვეტი



## ასე მოვემზადეთ გაზეთისთვის...


თამარ გეგენავა


შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულებაზე ძალიან ნიჭიერი სტუნდეტები სწავლობენო, მეორე კურსელები არიან, ბევრს კითხულობენ და სხვადასხვა აქტივობით არიან დაკავებულები უნივერსიტეტშიც და მის გარეთო.

აი, ასე საინტერესოდ ჰყვებიან ჩვენი ჯგუფის შესახებ. ჟურნალისტებმა გადაწყვიტეს, რომ „ბეჭდური მედიის“ შესწავლა ერთი დიდებული გაზეთის გამოცემით დაეგვირგვინებინათ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ყველაფერი გამოუვათ, პერიოდულ გამოცემად გადააკეთებენ.

მკითხველს, ალბათ, აინტერესებს ის დამღლელი და, ამავე დროს, ყველაზე სასიამოვნო სამუშაო, რომელსაც გაზეთის შექმნა მოითხოვს - ჟურნალისტური საქმიანობა ხომ ყველასთვის ერთი დიდი გასართობია. ყველას აინტერესებდა თემები, თუ რაზე მოუწევდათ მუშაობა, ინტერესიდან გამომდინარე ვცდილობდი, რომ რეპორტიორებისათვის შესაფერისი სტატიის სათაური შემერჩია. თუმცა, დიდება თავისუფლებას-მეთქი და ბოლოს ვარჩიე თავადვე მოეფიქრებინათ თემები და მასზე ემუშავათ.

სამი ნიჭიერი ფოტორეპორტიორი შევარჩიეთ - მინდია, ნინა და თაკო. მინდიამ იფიქრა, იფიქრა, რა მოვამზადოო და ბოლოს დიდი სიამაყით გვითხრა - „ბოლო ღამე“. ეს იყო ის, რისი გადაღებაც სჭირდებოდა, საუნივერსიტეტო სპექტაკლი სტალინის უკანასკნელ ღამეზე.

ყველა გაფაციცებით მუშაობდა, ყოველ წუთს მირეკავდა ანი იმედაძე და იდეების კორიანტელში გახვეული თავბრუს მახვევდა.

თავდაუზოგავი შრომა, რესპოდენტებთან სიარული, რთული საკითხები და სტუდენტების თვალით დანახული სამყარო, ჩვენი ქვეყანა, ქალაქი, უნივერსიტეტი, მეგობრები, ყველაფერი ის, რაც ქმნის ჩვენს სივრცეს, გვხდის უფრო მეტად დამოუკიდებლებს, ავრცელებს და ავითარებს შესაძლებლობებს.

ყოველი დღის ბოლოს ანგარიშს ვაბარებდით ერთმანეთს, ვინ როგორ იმუშავა, ვის უკეთესი რესპოდენტი ჰყავდა, სასაცილო ისტორიებსაც ჰყვებოდნენ, ოდნავ ტრაგიკულსაც, როგორ ელოდებოდენენ საშინელ ყინვაში სტუმარს, რომელმაც შეხვედრა გადაიფიქრა. ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, მიყვებოდნენ ფოტოების გადასაღებად და რაც მთავარია, მუშაობდნენ გუდნურად, ერთნაირი შემართებით.

მარიამი მაღალმთიან სოფელში წავიდა მათი პრობლემების გასაშუქებლად, ანიმ კულტურის სფეროს მიხედა, სკოლებში ბულინგის შემთხვევებიც არ დაგვრჩა უყურადღებოდ, ნიჭიერ აბიტურიენტებსაც იხილავთ სახელმწიფო გრანტებითა და საუნივერსიტეტო დაფინანსებებით. წარმატებული ადამიანებიც მოიძებნება ჩვენთან, რომლებმაც ბევრი იშრომეს და ამის შედეგად გახდნენ პროფესიონალები, მახინჯ ტრადიციებსაც შეხვდებით. ყოველ დღე აქტიურად ვცვლიდით იდეებს, ვწერდით და ვშლიდით, გვენანებოდა მაგრამ მაინც - ეს იყო გამოწვევა, შეგვექმნა საუკეთესო. აქ თქვენ იხილავთ სტუდენტების ხმას, მათ გულისთქმას, სურვილებსა და ინტერესს, ეს არის სამუშაო პროცესი, რომელმაც შექმნა ჩვენი გაზეთი.

# სტალინის „ბოლო ღამე“ - იბსუს თეატრალური დასის წარმატება



5 გვ

## ფოტორეპორტაჟი: „გაძვირებული“ დოლარი და „ვაგზლის ბაზრობის“ მოვაჭრეები

6 გვ




## გოგონათა წინდაცვეთა - საზარელი ტრადიცია კახეთის ავარულ თემში

5 გვ

## უნდა აიკრძალოს თუ არა ონლაინ სესხები

6 გვ

## იბსუ - გზა წარმატებისკენ

4 გვ

## ბულინგის პრობლემა სკოლებში

6 გვ

## ლუდომანია - ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სენი საქართველოში

6 გვ

# ბულინგის პრობლემა სკოლებში

სალომე ლომთაძე




**ტერმინი „ბულინგი" ნიშნავს ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ტერორს, რომელიც ხორციელდება ბავშვის მიმართ სხვა ბავშვების მიერ. ის, ვინც ბულინგს მიმართავს, მიზნად მსხვერპლის დაშინებასა და დამორჩილებას ისახავს. სკოლებში ბავშვები ასეთ ტერორს არცთუ იშვიათად განიცდიან. ეს მოვლენა გვხვდება როგორც გოგონებში, ასევე ბიჭებში.**

ხშირად შეიძლება გავიგონოთ, რომ თანატოლთა მიმართ ბავშვთა აგრესიულობა ქცევის ბუნებრივი პროცესის გამოხატულებაა. მოზრდილთა საზოგადოებაშიც ხომ არიან წარმმართველები და მორჩილები. ამიტომაც ვილაცამ ვილაცაზე აუცილებლად უნდა მოახდინოს წნეხი. ბავშვები ხედავენ ამას უფროსების ქცევაში და მის კოპირებას ახდენენ. თუმცა, მოზრდილებისგან განსხვავებით, გრძნობების დემონსტრირებას უფრო ღიად და გულუბრყვილოდ ახდენენ. იქნებ სწორედ ამიტომ აგრესიულ ბავშვებს ხშირად ლამის მოფერებით „ჩხუბისთავებს" უწოდებენ, ავიწყდებათ, რომ შეიძლება მათ ზოგჯერ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენონ მსხვერპლის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას.

მსხვერპლი შეიძლება ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერ განიკურნოს ფიზიკური დაზიანებებისაგან და განიცდიდეს მუდმივ შიშს, შფოთვას, თავს დამცირებულად ან დათრგუნულად გრძნობდეს, დაუქვეითდეს თვითშეფასება. გარდა ამისა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტერორის შემდეგ გაკვეთილებს ხშირად აცდენს, იგვიანებს, უარესდება აკადემიური მოსწრება. ასეთი ბავშვები თავს არიდებენ სკოლაში ჩატარებულ საზოგადოებრივ ღონისძიებებში მონაწილეობას, კარგავენ მეგობრებს თანაკლასელთა შორის.

მეცნიერთა აზრით, ბულინგის ინიციატორი ბავშვები თავიანთი აგრესიულობის დემონსტრირებას მოზრდილობის ასაკშიც აგრძელებენ და ხშირად ცხოვრების კრიმინალურ გზას ირჩევენ. ფსიქიკური ტრავმა შეიძლება იმ ბავშვებმაც მიიღონ, რომლებიც ძალადობის უშუალო მსხვერპლი არ არიან, მაგრამ არიან ტერორის ფაქტის შემსწრენი. „დღეს ეს სკოლაში მას დაემართა, ხომ შეიძლება, რომ ხვალ მე შემემთხვეს? ე.ი. სკოლა ის ადგილია, სადაც თავს უსაფრთხოდ ვერ იგრძნობ" - ასეთია მათი დასკვნა. ასეთ ბავშვებს ეშინიათ, თვითონაც არ გახდნენ აგრესორის მსხვერპლი. შიშის დაძლევაში მათ დაეხმარება მეგობრებთან და იმ უფროსებთან საუბარი, ვისაც ენდობიან.

ბავშვი-აგრესორი მუდმივად ცდილობს უფროსად და ძლიერად გამოიყურებოდეს, ხშირად ეუხეშება მასწავლებლებს, მშობლებს, საკუთარ და-ძმას. პიროვნებათშორის ურთიერთობებში, თამაშებში აღიარებს მხოლოდ ძალას, სისასტიკეს და ამის დემონსტრირებასაც ახდენს. ნებისმიერი კონფლიქტის გადასაჭრელად უპირატესობას ძალისმიერ გზას ანიჭებს. როგორც წესი, ბავშვ-აგრესორებს მაღალი თვითშეფასება აქვთ და თავიანთ გარემოში სოციალური უპირატესობის მოპოვებას ცდილობენ. ზოგჯერ ისინი ჩაკეტილები და ნაკლებკონტაქტურები ხდებიან, მაგრამ ამასთან პერიოდულად ავლენენ არამოტივირებულ რისხვას.

აგრესორ ბავშვებს ძირითადად ახასიათებთ: ჭარბი ენერგია, სხვებზე ზეგავლენის მოხდენის და სხვა ადამიანების გამოყენების უნარი, ძალაუფლების დიდი სურვილი, შიში იმისა, რომ თვითონ არ დაამცირონ.

რატომ ავლენს ბავშვი თანატოლის მიმართ აგრსიას? ამის მიზეზი, ფსიქოლოგების მტკიცებით, შემდეგია: სურს მიიქციოს ყურადღება, საკუთარ თავზე ან გადაჭარბებულად კარგი ან გადაჭარბებულად ცუდი წამოდგენა აქვს, არ შეუძლია მეგობრობა; არა აქვს დანაშაულის გრძნობა და სხვისი განცდების გაგების უნარი.

# ლუდომანია - ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სენი საქართველოში



ანა დუმბაძე

**აზარტი რაიმეთი თავდავიწყებით გატაცებაა, აზარტომანია კი უკვე დაავადება. თანამედროვე მეცნიერება მიიჩნევს, რომ აზარტომანიასა და ნარკომანიას ერთი და იგივე საფუძველი აქვს. როგორც ნებისმიერ ქმედებას აზარტული თამაშებისკენ მიდრეკილებასაც აქვს თავისი მიზეზი. მათ შორის არის: სწავლის პროცესის გაუფასურება, საინტერესო აქტივობების ნაკლებობა, ბევრი მიმზიდველი რეკლამა, თავისუფალი დროის არასწორად გადანაწილება, არასწორი სამეგობრო წრე და ა.შ. თითოეული ამ მიზეზისგან იწყება გზა დიდი უფსკრულისკენ, რომლიდანაც ძალიან ცოტა ახერხებს უკან დაბრუნებას. იმისთვის, რომ გავიგოთ რა ხდება ამ დროს ახალგაზრდის ფსიქიკაში, რამდენიმე კითხვით მივმართე ფსიქოლოგ ნია მუსელიანს.**

**- თქვენი აზრით, რა ხდება მთავარი მიზეზი იმისა, რომ ახალგაზრდას ცხოვრების წესად ყოველდიურად თამაში ექცევა?**

**ნია მუსელიანი:** იშვიათად მოიძებნება ადამიანი, რომლის გარემოცვაში აზარტული თამაშების მანიით შეპყრობილი ერთი ნაცნობი მაინც არ იყოს. აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას ლუდომანია ეწოდება. ამ დროს ადამიანი დამოკიდებულია ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც. ეს შეიძლება გამოიწვიოს გარემო ფაქტორებმა, ოჯახმა, სააxლობლო წრემ, მეგობრებმა, სამუშაომ. გააჩნია, როგორი ცხოვრებით ცხოვრობს. თუ სამუშაო არ აქვს და მთელი დღე უსაქმოდ არის, ფიქრები ყოველთვის მარტივად მისაღწევისკენ აქვთ მიმართული და თვლის, რომ თუ ითამაშებს, აუცილებლად მოიგებს... ამის შემდეგ კი იწყება დამოკიდებულება, რასაც შემდეგ თავს ველარ აღწევენ, ვალების აკიდება, შემდეგ ოჯახის წევრებთან რთული დამოკიდებულება, განმარტოება, ჩაკეტვა და ბოლოს, შესაძლოა, ფატალური შედეგი - სუიციდი.

**- რა ხდება ასეთი ადამიანის ფსიქიკაში?**

- სათამაშო ბიზნესის წესია, რომ მოთამაშეს დროის შეგრძნება დაკარგული ჰქონდეს, ამიტომ კაზინოში მზის შუქი არსაიდან შედის, ვერსად ნახავთ საათსაც. ამიტომაც, ამ ადამინებს იმდენად ძლიერად აქვთ გამჯდარი ეს ყველაფერი ფსიქიკაში და ქცევაში, თავს უკვე ველარ აღწევენ. ლუდომანია ქრონიკული დაავადებაა და მასთან მუდმივად გვიწევს თერაპიული მუშაობა, რადგან ადამიანის ფსიქიკა იმდენად არაპროგნოზირებადია, რომ შეიძლება ნებისმიერ დროს გამოვლინდეს რეციდივი, რასაც მუდმივი მეთვალყურეობა სჭირდება.

**- რა რეკომენდაციას მისცემდით აზარტომანი ახალგაზრდების მშობლებს?**

- იმისათვის, რომ მოზარდი არ გახდეს დამოკიდებული აზარტულ თამაშებზე, საჭიროა, მშობელმა მიაწოდოს მას სხვა ალტერნატივა, ატაროს მუსიკაზე, ცეკვაზე და სხვადასხვა წრეებზე, ამ შემთხვევაში ბავშვს დრო აღარ დარჩება აზარტული თამაშებისთვის და ამგვარი ფიქრებით გონების დატვირთვისათვის.

# „პრემია-დანამატების ასე გაცემა ქვეყნის ეკონომიკის ჩამოშლას გამოიწვევს"

მარი მურდალაშვილი

**საქართველოში არსებული მძიმე სოციალური მდგომარეობის მიუხედავად, განსაკუთრებით სავალუტო კრიზისის ფონზე, მთავრობაში პრემია-დანამატებს მაინც უხვად გასცემენ.**

არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიატორმა", რომელიც მონიტორინგს აწარმოებს, სახელმწიფო უწყებებიდან გამოითხოვა ოფიციალური დოკუმენტები, რომელთა მიხედვითაც ირკვევა, რომ შვიდმა სამინისტრომ 9 თვის განმავლობაში, პრემია-დანამატებზე 52 მილიონი ლარი დახარჯა. საქმე ეხება სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის, განათლების, ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვის, შინაგან საქმეთა და დიასპორის სამინისტროებს.

არსებული ინფორმაციის მიხედვით, ენერგეტიკის სამინისტრომ პრემია-დანამატებზე 778 ათასი ლარი დახარჯა; სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯი კი 148 ათას ლარს შეადგენს.

ინფრასტრუქტულის სამინისტროში პრემია-დანამატებზე 1,1 მილიონი დაიხარჯა, ხოლო სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯი 60 ათასით განისაზღვრება.

ჯანდაცვის სამინისტროში პრემია-დანამატების, სამივლინებოსა და წარმომადგენლობითის ხარჯები 1,2 მილიონზე მეტს შეადგენს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროდან პრემია-დანამატებზე ინფორმაცია არ მოსულა, სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯი კი 523 ათასით განისაზღვრა.

არ მოსულა, ასევე, ინფორმაცია სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯის შესახებ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან, ხოლო რაც შეეხება ხელფასებსა და პრემია-დანამატებს, 221 შტატიანი თანამშრომლისთვის გაცემული ხელფასი შეადგენს 2,8 მილიონს, 120 უშტატო თანამშრომლის ხელფასი განისაზღვრება 1,3 მილიონით, ხოლო პრემია შეადგენს 464 ათასს.

დიასპორის სამინისტროში ამ ყველაფრისთვის გაწეული ხარჯი 436 ათას ლარს აღწევს.

ყველაზე სოლიდური თანხა დაიხარჯა შინაგან საქმეთა სამინისტროში. აქ, 9 თვის განმავლობაში, პრემია-დანამატებისთვის 47 მილიონი გამოიყო, ხოლო წარმომადგენლობითმა და სამივლინებო ხარჯმა 4 მილიონს გადააჭარბა.

„ქვეყანაში არ არსებობს პრემია-დანამატების გაცემის კონტროლი და არანაირი ბერკეტი იმის გადასამოწმებლად, იღებენ თუ არა სწორად ეს ადამიანები ამ თანხებს. პრემია-დანამატების ასე გაცემა ქვეყნის ეკონომიკის ჩამოშლას გამოიწვევს, განსაკუთრებით ლარის გაუფასურების ფონზე," - აცხადებს „მედიატორის" თავმჯდომარის მოადგილე, დიმიტრი ბიძინაშვილი.

# გოგონათა წინდაცვეთა – საზარელი ტრადიცია კახეთის ავარულ თემში


აიდა მირმაკსუმოვას ფოტო

**სალომე მოისწრაფიშვილი**

**რელიგია თუ წარმართული ტრადიცია? ამბავი, რომელსაც ახლა მოგიყვებით, შეიძლება ითქვას, თვის სკანდალად იქცა. გოგონების წინდაცვათის მანკიერ ტრადიციას მთელი მსოფლიო ებრძვის, თუმცა ვინ იფიქრებდა, რომ მას შუაგულ კახეთში წავაწყდებოდით.**

ეთნიკურად ავარელი მოსახლეობა ქალის სასქესო ორგანოს დაზიანებას რელიგიით ხსნის და ამას „ისლამურ ნათლობას“ ეძახის, თუმცა თავად მუსლიმი სასულიერო პირები მას ემიჯნებიან და ამბობენ, რომ გოგონების წინდაცვეთას მათ რელიგიასთან კავშირი არ აქვს.

აქამდე ითვლებოდა, რომ საქართველოში გოგონებისთვის გენიტალიების დასახიჩრების პრაქტიკა არ არსებობდა. თუმცა, საერთაშორისო ორგანიზაციამ „ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი“ ჟურნალისტური გამოძიება გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც დასტურდება, რომ კახეთის რამდენიმე სოფელში შინაურ პირობებში გოგონების წინადაცვეთას ახორციელებენ. ამ თემაზე მუშაობდა დაღესტნელი ჟურნალისტი აიდა მირმაკსუმოვა, რომელსაც ჩვენ გავესაუბრეთ.

„ყვარელი, სოფელი ჩანთლისყურე, რაიონული ცენტრიდან ეს ადგილი 10 წუთის სავალზეა ამიტომ სოფლის ამბები სწრაფად ვრცელდება, თუმცა ეს ამბავი საზოგადოებისთვის ახლახან გახდა ცნობილი. ჩანთლისყურეში ეთნიკურად ავარელები, იგივე ხუნძები მე-18 საუკუნიდან ცხოვრობენ. აღმოჩნდა, რომ ისინი ამ დროიდან მოყოლებული ატარებენ გოგონების წინადაცვეთის რიტუალს. ამ ტრადიციას ისინი მუსლიმურ ნათლობას უწოდებენ,“ – ამბობს აიდა.

იგი აცხადებს, რომ თავდაპირველად ძალიან გაუჭირდა მოეპოვებინა რაიმე სახის ინფორმაცია, რადგან მოსახლეობას უკვირდა, რატომ დაინტერესდა ახალგაზრდა ჟურნალისტი ამ თემით, რომელსაც გოგოების წინდაცვეთა ჰქვია.

„ეს ტრადიცია აქამდეც არსებობდა და რატომ გახდა ეს ყველაფერი ასეთი საინტრესო ჟურნალისტებისთვის, ვერ იგებდნენ,“ – ამბობს იგი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მცხოვრები ავარელები საკუთარი ისტორიული სამშობლოსგან დაშორებულ რაიონში მკვიდრობენ, მათ მყარად აქვთ შენარჩუნებული საკუთარი კულტურა და ტრადიციები, მათ შორის ენა, სამზარეულო, საქორწინო, დაკრძალვის და რელიგიური რიტუალები. ეს რიტუალიც ერთ-ერთი გადმონაშთია წარსულისა...

„ყველა ფაქტი, რომელიც ჩემს სტატიაშია, სინამდვილეს შეესაბამება. ერთ-ერთი გმირი თავად ამბობს, რომ უკვე 20 წელია ამას აკეთებს. მე პირადად ეს პროცესი არ მინახავს, ჩემ თვალწინ არ გაუჭრიათ. უფლება არ მომცეს მენახა ეს ყოველივე, ალბათ შეეშინდათ. რაც საზოგადოებას გავაცანი, ყველაფერი მათ მიერ არის მოყოლილი. ამ რიტუალს, ძირითადად, 3-დან 10 წლამდე გოგონებს უკეთებენ. მათ ვკითხე, ეშინოდათ თუ არა გოგონებს ამ პროცესის და მიპასუხეს, რომ ბავშვებს აშინებენ, თითქოს თუ წინადაცვეთას არ გაიკეთებენ, მათი სხეულიდან გველი გამოვიდოდა, ხე გაეზრდებოდა, ბინძური იქნებოდა და ასე შემდეგ.“

აიდა ამბობს, რომ ამ პროცედურისთვის იყენებენ ფრჩხილის პატარა მაკრატელს. როდესაც ჰკითხა სტერილიზაციის შესახებ, მათ უპასუხეს, ხანდახან სპირტით ვამუშავებთო.

„ამ ფაქტმა შემაშფოთა, ვცდილობდი კიდევ უფრო მეტი გამეგო ამ ყველაფრის შესახებ. ვიყავი ერთ-ერთ ოჯახში, სადაც დედას არ უნდოდა შვილისთვის გაეკეთებინა ეს რიტუალი, თუმცა ბებიამ დააძალა. სხეულის დამახინჯება მათ არც ძალადობად და არც ადამიანის უფლებების დარღვევად მიაჩნიათ,“ – გვიყვება აიდა.

ვინ არის ადამიანი, რომელიც ამ ყველაფერს აკეთებს? ამ კითხვაზე მან შემდეგი პასუხი გაგვცა: „გავესაუბრე ამინა მაგომედოვას, სარუსოს მკვიდრს, რომელიც გოგონებს წინადაცვეთას უკვე 20 წლის მანძილზე უტარებს. მას არც კი ახსოვს, რამდენმა გოგონამ გაიარა მის ხელში, მხოლოს ამბობს, რომ მათი რიცხვი ძალიან დიდია.“

აიდას თქმით, დაღესტანში ქალის გენიტალიების დასახიჩრების პრაქტიკის წარმოშობა უცნობია. იგი ქალის წინადაცვეთის ადათს პრეისლამურ ჩვეულებად მიიჩნევს. ეს მხოლოდ მისი ჰიპოთეზაა. თუმცა, ეს ჰიპოთეზა ვერ გვიხსნის დაღესტანში ქალის წინადაცვეთის ადათის გაჩენას. ტრადიცია ავარელებმა საქართველოშიც კი წამოიღეს.

აიდა გვიყვება, რომ ამ ყველაფრის აღმოჩენის შემდეგ იგი გაესაუბრა აღმოსავლეთ საქართველოს მუფთის, იანის ალიევს. მისი თქმით, მუსლიმი თემი ეწინააღმდეგება ამ წესჩვეულებას და მას რელიგიასთან საერთო არაფერი აქვს.

„ვერც ყურანში და ვერც შარიათში ვერ ნახავთ ჩანაწერს ამ რიტუალის შესახებ. ეს არის წარმართული ტრადიცია და სათავეს ისლამის წარმოშობამდე იღებს, ეს იყო ძირითადად არაბულ ქვეყნებში. ეს არ არის ნათლობა, არამედ საშინელი ძალადობაა, რომელსაც სასტიკად ვგმობთ,“ – განაცხადა მუფთიმ.

აიდა ამ პრობლემის აღმოფხვრის გზებს ასე ხედავს: „ძალიან მნიშვნელოვანია ამ თემთან საგანმანათლებლო ღონისძიების ჩატარება. აუცილებელია ახალგაზრდა თაობას მივაწვდინოთ ხმა, რომ ეს არის მათი უფლებების დარღვევა. ამ ტრადიციის დაცვას მათ რელიგია არ თხოვს... ეს უდიდესი დანაშაულია, ძალადობაა, რომელიც სისხლის სამართლის წესით უნდა ისჯებოდეს,“ – აცხადებს აიდა მირმაკსუმოვა.

# უნდა აიკრძალოს თუ არა ონლაინ სესხები

**მეგი ინწკირველი**
**ლელა გულბანი**

**ბოლო წლების განმავლობაში საქარველოში ონლაინ სესხების მოხმარება გახშირდა. დღესდღეობით, ონლაინ სესხის 70-ზე მეტი კომპანია არსებობს. თითოეული მათგანი მომხმარებელს მოკლე დროში (15 წუთი) სახლიდან გაუსვლელად მინიმუმ 100 ლარის, ხოლო მაქსიმუმ 1500 ლარის ოდენობის სესხს სთავაზობს. ონლაინ სესხებს სხვაგვარად „ხელფასამდე მასესხე“-საც უწოდებენ და იგი სასარგებლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი სესხს მითითებულ დროში სრულად დაფარავს.**

აღსანიშნავია, რომ ნებისმიერ სრულწლოვან მოქალაქეს ძალიან მარტივი რეგისტრაციის გავლით, მხოლოდ სახელის, გვარის, მისამართის, პირადი და მობილური ნომრის მითითებით, შეუძლია მიიღოს მისთვის სასურველი თანხა.

დასასრული მე-4 გვერდზე

## რედაქტორის სვეტი



# საახალწლო „საჩუქარი“

**თამუნა გრიგალაშვილი**

**აშკარაა, რომ ახალი წლიდან ქვეყანაში ტოტალური გაძვირება დაიწყება. საწვავის ფასი 2 ლარამდე მოიმატებს, ავტოგაზის ფასი 20 თეთრით გაიზრდება, ამას კი აუცილებლად მოჰყვება სხვადასხვა ძირითადი მოხმარების პროდუქციის გაძვირებაც. ამიტომ, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ქვეყანაში ინფლაციაც დიდ ნახტომს გააკეთებს.**

„ბუნებრივია, სააქციზო განაკვეთის გაზრდა ფასებზე აისახება. ფაქტობრივად, ეს სააქციზო გადასახადი პირდაპირ არის ჩადებული პროდუქტის თვითღირებულებაში. როცა ის იზრდება, საწვავიც ძვირდება. ჩვენი გათვლებით, თუ ბენზინის აქციზი 500 ლარი გახდება, ხოლო დიზელის - 400, საწვავის ფასი საშუალოდ, 20-25 თეთრით მოიმატებს,“ - განაცხადა ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარემ, ვანო მთვრალაშვილმა.

ამ დროს კი ხალხის მიერ არჩეული „ქოცები“ არანაირ რეაგირებას არ ახდენენ. პირიქით, იმედის ეთერში ფინანსთა მინისტრმა, ქუმისაშვილმა განაცხადა, „კი, ქვეყანაში გვექნება ინფლაციის 4%-იანი მაჩვენებელი, მაგრამ ეს არ იქნება მძიმე ტვირთი“-ო.

ჩემი აზრით, გასაკვირი საერთოდ არაფერია. ხელმეორედ არჩეული კოალიციისგან, რომელმაც აქამდე არაფერი გააკეთა ხალხის საკეთილდღეოდ და მხოლოდ თავიანთი „ხელი მოითბო“, ახლა ველოდით რაიმეს? რას? უკეთესობას? თუ ეკონომიკურ აღზევებას? არა, რა თქმა უნდა. თეორიულად ყველამ კარგად ვიცოდით, რომ „ოცნება“ კვლავ ოცნებაში დაგვტოვებდა, მაგრამ რეაულურად საზოგადოებამ საპარლამენტო უპირატესობა კვლავ მათ მიანიჭა.

ალბათ, ეჭვიც კი არავის ეპარება, რომ ნავთობპროდუქტების გაძვირება ჯაჭვურ რეაქციას გამოიწვევს. ქვეყანა კრიზისის წინაშეა, რადგან საწვავი არის საკითხი, რომელიც ყველაფერზე ახდენს გავლენას. აქედან გამომდინარე, ყველაფერზე უარყოფითად აისახება.

ოპოზიციას კი კვლავ მიეცა მთავრობის გაკიცხვის საბაბი. ამის ნათელი მაგალითია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, ირაკლი აბესაძის განცხადება „ეს ინიციატივა მთავრობის, მოსახლეობის ჯიბიდან ბიუჯეტის შევსებას ნიშნავს“.

ამასობაში კი ხალხის მდგომარეობა სულ უფრო მძიმდება. კარგად ვიცით, რომ აქამდე არსებული ფასებით ვერ ახერხებდა საზოგადოების გარკვეული ნაწილი პროდუქტის შეძენას და ახლა? რა თქმა უნდა, „მოშიმშილეთა“ რაოდენობა და ქვეყანაში სიღატაკის ზღვარს მყოფი ადამიანების რიცხვიც გაიზრდება - იმის ნაცვლად, რომ შემცირებულიყო. გამოსავალს ვინ გვთავაზობს? არც არავინ, ისინი მხოლოდ ლაპარაკობენ დაუსრულებლად, იძლევიან დაპირებებს (უსაფუძვლოს). საქართველო კი დიდ „ჭაობად“ გადაიქცა, რომელიც დღითიდღე ივსება „ბინძური ხავსით“.

ჩვენთან პოლიტიკა დიდ სათამაშო არენად გადაიქცა. ერთმანეთთან ჯიბრში ჩადგომით, ხალხი საცოდავდება, პოლიტიკოსები კი მდიდრდებიან. თუმცა ყველაზე ცუდი ის არის, რომ საზოგადეობის დიდი ნაწილი კვლავ ვარდისფერ სათვალეს ატარებს. კარგად ხვდებიან, რომ საგანგაშო მდგომარეობაა ქვეყანაში, მაგრამ საკუთარ ნაჭუჭში აგრძელებენ ყოფნას.

არავინ იცის, სამომავლოდ რა გველის, როდემდე გაგრძელდება პროდუქტებზე ფასების ზრდა. საზოგადოება, როდის ამოისუნთქავს, თუმცა ერთი რამ ფაქტად რჩება - ოთხი წელი მოგვიწევს უნიათო მთავრობისა და კომპრომეტირებული ოპოზიციის ხელში ყოფნა.

# იბსუ - გზა წარმატებისკენ



გვანცა გახოკიძე

**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი 1995 წელს დაარსდა. შზსუ-ში ქართველ და უცხოელ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ეზიარონ მაღალი დონის პროფესიულ განათლებას და აქ მიღებული ცოდნისა და გამოცდილების წყალობით, თავიანთი წვლილი შეიტანონ საქართველოსა თუ სხვა ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური განვითარების საქმეში. უნივერსიტეტში სასწავლო ენა ინგლისური და ქართულია.**

თითოეული სტუდენტისთვის შზსუ-ში სწავლა წარმატებული მომავლისკენს გადადგმული პირველი ნაბიჯია. სტუდენტები თავს არ ზოგავენ იმისთვის, რომ უმაღლესი განათლება წამყვან უნივერსიტეტში მიიღონ. საინტერესოა, თუ რა გახლავთ ქართველი სტუდენტების ძირითადი მიზანი და მოტივაცია.

ამ სტატიით გვინდა გაგაცნოთ შზსუ-ს წარმატებული სტუდენტები.

## ტბელ აბუსერიძე

„დავამთავრე ბათუმის შაჰინის ფილიალის დემირელის სკოლა. პირველ რიგში, სწორედ ამიტომ ჩავაბარე იბსუში, რადგან შეღავათები მქონდა და ამასთან ერთად კარგი უნივერსიტეტი იყო. ჩავაბარე საკმაოდ ახალგაზრდამ, ამიტომ არ მქონდა გამოცდილება და საერთოდ არ ვიცოდი, რა მინდოდა ცხოვრებაში და რაღაც ზედაპირული გადაწყვეტილებების ფონზე ავირჩიე სამართალი. მეორე კურსზე დიდად აღარ მომწონდა სამართალი და მივხვდი, რომ უნდა გადავსულიყავი სხვაგან, რაც მესამე კურსზე მოვახერხე.

„რა შემძინა იბსუმ?! ძალიან ბევრი რამე... განათლების თვალსაზრისით საკმაოდ ბევრი რამ ვისწავლე. ყველაზე მეტად ინგლისურის ლექტორის, ეკა ბაკარაძის მადლიერი ვარ. სწორედ ინგლისური იყო ის, რაც ყველაზე მეტად გამომადგა.

„არ მიყვარს როცა ხალხი დაქსაქსულია. ამ მხრივ შზსუ-ში ძალიან კარგი გარემო იყო, აქ ყველა ყველას იცნობს და ერთი დიდი ოჯახია, რაც ძალიან მომწონს.

„ვსწავლობ სენტ ჯონის კოლეჯში, თავისუფალი მეცნიერებების ფაკულტეტის ბაკალავრიატზე. აქ სხვადასხვა ქვეყნის 100-ზე მეტ აპლიკანტს შორის ჩარიცხულ 10 სტუდენტს შორის მოვხვდი.

„როდესაც მივხვდი, რომ სამართალი ჩემი საქმე არ არის და პირადი თავისუფლება უფრო მაღლა დავაყენე ვიდრე პროფესია, დავიწყე ფიქრი, სად შემეძლო ყველაზე უკეთ ჩემი ინტერესების შესაფერისი განათლების მიღება. სენტ ჯონის კოლეჯში იმას ასწავლიან, რაც ყველაზე მეტად მაინტერესებს. ვნახე ცხრილი, საგნები, თუ რა იყო საჭირო იმისთვის, რომ მე იქ მოვხვედრილიყავი, გადმოვწერე მიღებისთვის საჭირო ყველა აპლიკაცია. დავწერე თემები, წიგნის რეცენზია, გავიგზავნე ე.წ. ექსტრაცირკულარული ნაშრომი, აღვუწერე ყველა ჩემი აქტივობა და ინტერესი. არავინ მყავდა ისეთი, ვინც ელემენტარულად აპლიკაციების შევსებაში დამეხმარებოდა, ამიტომ ინდივიდუალურად გავართვი თავი უამრავ რამეს, დაწყებული პროფილის შევსებიდან, ყველაფრის დეტალურად შევსება მომიწია, ოჯახის შემოსავალი, გასავალი, რამდენი ვცხოვრობთ, ისიც კი, რამდენი გვიჯდება სახლის დასუფთავება და ყოველდღიური კვება. საბოლოოდ მომივიდა დადებითი პასუხი. მითხრეს, რომ ეს უნივერსიტეტი ჩემთვის იყო შექმნილი და მიმღებ კომისიაზე კარგი შთაბეჭდილება მოვახდინე. მინდა აქვე ხაზი გავუსვა, რომ მე გაცვლითი პროგრამით არ მივდივარ, დაფინასება ინდივიდიალურად მოვიპოვე.

„უნივერსიტეტში მოხვედრისთვის, აკადემიურ მონაცემებზე მეტად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ჩემი სხვა აქტივობები, ის რომ მაგალითად ასტროფოტოგრაფიით ვარ გატაცებული, ძალიან მიყვარს ასტროფიზიკა და ასტრონომია და სხვა. ამერიკული საგანმანათლებლო მოდელისთვის არსებითად მნიშვნელოვანია სწორედ ის, სწავლის გარდა თუ რას აკეთებ. ამიტომ, მომიწია ყველა იმ სერთიფიკატის გაგაზავნა, რომელიც სხვადასხვა კონფერნეციაზე მიმიღია. გავაგზავნე, ასევე, ჩემი ინგლისურენოვანი ლექსებიც, რომლებმაც მოწონება დაიმსახურა. მივუთუთე, ასევე, რომ National Geographic-ის საქართველოს ბლოგერი ვარ. უნივერსიტეტის პრინციპი ზუსტად ეს არის - ნიშნებს იმდენად არ ექცევა ყურადღება, რამდენადაც სტუდენტის აზროვნებას, ინტელექტუალურ ბაზას, ინტერესებსა და აქტივობებს.

„აღმოჩენა, მოგზაურობა და კითხვა, ეს არის ყველაზე მთავარი ჩემს ცხოვრებაში. იბსუმ მიმახვედრა, თუ რა მინდოდა. უნივერსიტეტი მხოლოდ გეზს გვიჩვენებს, ზოგად ცოდნას გვაძლევს, შესაბამისად საკუთარ მონდომებაზე, შრომასა და მოტივაციაზე ბევრია დამოკიდებული.

„იბსუმ ჩემი პროფესიული განვითარებისა და თვითრეალიზების ზოგადი გეზი თუ მახასიათებლები მაჩვენა, მომცა ზოგადი საბაზისო განათლება სამართალმცოდნეობაში, რომელიც ცალსახად მნიშვნელოვანია პიროვნული თუ კარიერული ზრდისათვის.“

## როლანდ შავაძე

„2015 წელს დავამთავრე შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის განათლების და ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტი, ინგლისური ფილოლოგის მიმართულება. იბსუს დამსახურებით, შემიძლია ჯანსაღი კონკურენცია გავუწიო ჩემი პროფესიის სხვა უმაღლეს დამთავრებულ სტუდენტებს.

„2015 წელს გავიარე საკმაოდ რთული შესარჩევი კონკურსი, - „ვასწავლოთ მომავალი წარმატებისთვის“, რომელსაც ახორციელებს აჭარის განათლების სამინისტრო და დავინიშნე ინგლისური ენის პედაგოგად.

„ასევე, მიდინარე წელს მონაწილეობა მივიღე სავალდებულო პედაგოგის სასერთიფიკაციო გამოცდაში, რომელიც პირველივე ცდაზე წარმატებით ჩავაბარე.

„შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში სწავლის ხარისხი საკმაო მაღალია. იბსუ სტუდენტებს სთავაზობს ყველა საჭირო რესურსს, რაც აუცილებელია წარმატებული კარიერული წინსვლისთვის.

„უნივერსიტეტს ჰყავს პროფესორები, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი პროფესიონალიზმითა და სწავლების თანამედროვე მეთოდებით.“

# 2016 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები და IBSU



ლევან კეიდია

ლელუკა გულბანი
მეგი ინწკირველი

**ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო მონაცემებით, 2016 წელს 27 782 აბიტურიენტი სტუდენტი გახდა. წელს ეროვნულ გამოცდებზე სულ 41 600 აბიტურიენტი იყო დარეგისტრირებული, ამ რაოდენობას 2 900 სტუდენტი გამოსაშვები გამოცდების შემდეგ გამოეთიშა.**

აღსანიშნავია, რომ სრულიან ნაწილობრივი სახელმწიფო გრანტი 6 500-ზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო, ხოლო 4000-მდე სტუდენტი იმ პროგრამაზე ჩაირიცხა, სადაც სწავლას სახელმწიფო სრულად აფინანსებს.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ 2016 წელს ეროვნილი გამოცდების ჩატარების ფორმატში ცვლილება შევიდა. გამოცდები ნაწილობრივ ელექტრონულად ჩატარდა.

ფორმატის ცვლილება მხოლოდ ტესტის და არა პასუხების ფურცლის ელექტრონულად მიწოდებას ითვალისწინებდა. ახალი ფორმატის დანერგვის შედეგად მონაწილე დავალებას მისთვის განკუთვნილი კომპიუტერის ეკრანზე ხედავდა, პასუხებს კი, ჩვეულებრივ, პასუხების ფურცელზე ნიშნავდა ან წერდა. გამოცდის ნაწილობრივ ელექტრონულ ფორმატზე გადასვლის ძირითად მიზნად, გრძელვადიან პერსპექტივაში, გამოცდის ელექტრონული ფორმატის სრულად დანერგვა ითვლება.

ეროვნული გამოცდებით ჩარიცხული აბიტურიენტებით, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მონაცემების მიხედვით, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი რიგით მე-6 ადლს იკავებს. მას წინ უსწრებს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტები. ხოლო, პირველ, მეორე და მესამე ადგილებს თბილისის თავისუფალი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტები იკავებენ.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს სულ უფრო მეტი წარმატებული აბიტურიენტი ირჩევს. წელს შზსუ-ში სახელმწიფო გრანტის, ოქროსა და ვერცხლის მედლის მფლობელ სტუდენტთა რიცხვმა შარშანდელთან შედარებით იმატა.

2016 წელს ჩარიცხული 576 სტუდენტიდან 230 სახელმწიფო გრანტის მფლობელია, 68 - ოქროს მედალოსანი სტუდენტი სარგებლობს 100%-იანი შიდა დაფინანსებით, ხოლო 25 ვერცხლის მედალის მფლობელი კი 70%-იანი გრანტით.

საერთო ჯამში კი შზსუ-ს შიდა დაფინანსებით 1000-მდე სტუდენტი სარგებლობს, ხოლო გაცემულ გრანტთა საერთო რაოდენობა 2 მილიონ ლარს აღწევს.

დასასრული მე-5 გვერდზე

# უნდა აიკრძალოს თუ არა ონლაინ სესხები

**დასასრული**

სწორედ სესხის აღების ასეთი მარტივი პირობების გამო დღეს საქართველოს ძალიან ბევრი მოქალაქე სარგებლობს ონლაინ სესხით, რაც უმეტესი მათგანისთვის პრობლემას წარმოადგენს. პრობლემები თავს იჩენს მაშინ, როცა თანხის ვერგადახდის შემთხვევაში მიკროსაფინანსო კომპანიები მომხმარებელზე წნეხს ახდენენ.

პირველ რიგში, ონლაინ სესხის მოცემულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ნებისმიერ მსესხებელს შეუძლია ისარგებლოს ე.წ. გადავადების მექანიზმით. ვადის გახანგრძლივებისათვის გადასახდელი პროცენტული საფასური სესხის რაოდენობის პროპორციულია. აღსანიშნავია, რომ მიკროსაფინანსო კომპანიებს გადავადების სხვადასხვა საფასური აქვთ. მაგალითად, თუ ერთ-ერთი ასეთი კომპანიიდან გამოვიტანთ 650 ლარის ოდენობის სესხს, 30 დღის ვადით და თანხის გადაუხდელობის გამო დაგვჭირდება სესხის გადავადება, 7 დღის გადაცილებისთვის შესატანი თანხა იქნება 49 ლარი, 14 დღეზე - 74 ლარი, ხოლო 30 დღეზე - 124 ლარი.

იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი არ რეაგირებს სესხის ვალდებულებებზე, მსესხებელი იღებს გარკვეულ, შეიძლება ითქვას, არაკანონიერ ზომებს. მაგალითად: მსესხებელთან, მის ოჯახის წევრებთან, ნათესავებთან დაკავშირება და მუქარის შემცველი ტექსტებით საუბარი. ასეთ შემთხვევაში მიკროსაფინანსო კომპანიები პრობლემური სესხების ამოღების განყოფილებასთან თანამშრომლობენ, რომლებიც იმავე მეთოდებს იყენებენ (შანტაჟი, ირიბი მუქარა).

ეს არის კერძო ორგანიზაციები, რომლებიც ბანკებისგან ყიდულობენ ვადაგადაცილებულ სესხებს და თანხის ამოღებას მსესხებლის მიმართ ირიბი შანტაჟის გზით ცდილობენ, მაგალითად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემით.

სამართლებრივად გაუცნობიერებელ მოქალაქეებზე ასეთი ტიპის ირიბი შანტაჟი და მუქარა გარკვეულ ზეგავლენას ახდენს: ისინი ვარდებიან დეპრესიაში, სასოწარკვეთაში და შეიძლება თვითმკვლელობაც ჩაიდინონ (ბოლო ორიოდე თვეში ასეთ სუიციდებზე) არაერთი ინფორმაცია გავრცელდა).

სწორედ ასეთი სწრაფი სესხის მსხვერპლი გახდა ჩვენი რესპოდენტი, 26 წლის გიორგი, რომელიც რთული მატერიალური მდგომარეობის გამო, იძულებული გახდა ონლაინ სესხით ესარგებლა. მან ვერ მოახერხა თანხის დროულად დაფარვა, რის გამოც ყოველთვიურად დიდი საპროცენტო გადასახადი ემატებოდა. დროთა გამნავლობაში თანხამ კოლოსალურ რაოდენობას მიაღწია.

„ერთი წელია ონლაინ ბანკების პროცენტებს ველარ ვიხდი და იმხელაზე გაზარდეს თანხა ჯარიმების ჩათვლით, რომ ამის გადახდა ჩემი ოჯახისთვის შეუძლებელია. გარდა ამისა, არც ვმუშაობ და არც ქონება მაქვს. მეც და ჩემს ოჯახის წევრებსაც ძალიან ხშირად გვირეკავენ და გვემუქრებიან, რომ თუ არ გადავიხდით თანხას აღმასრულებელი მოვა და პრობლემები შეგვექმნება,“ - აღნიშნა გიორგიმ.

ყველაფერთან ერთად ონლაინ-სესხებთან დაკავშირებული პრობლემები იმდენად მასშტაბური გახდა, რომ მათი გაცემის აკრძალვის საჭიროებაც დადგა. ამ თემასთან დაკავშირებით საჯარო კომენტარი გააკეთა საქართველოს პრემიერ მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა.

„მთავრობა ეროვნულ ბანკთან ერთად, მომხმარებელთა უფლებების დაცვის პაკეტს ამზადებს, რომლის თანახმადაც, ონლაინ სესხების გაცემა აიკრძალება. ეს ნაბიჯი გადადგმულია სწრაფი ეკონომიკური განვითრებისთვის,“ - განაცხადა პრემიერმა.

თუმცა აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით პარლამენტში ეს საკითხი აღარ განიხილება.

# ვეგანობა და ვეგეტარიანელობა საქართველოშიც იდგამს ფეხს

ნუცა ხუნდაძე
ანი იმედაძე

**კვება, როდესაც ეს სიტყვა გვესმის, ხშირ შემთხვევაში შეიძლება წინადადების გაგრძელებაც აღარ დაგვჭირდეს. ჩვენი კვება იმდენად ინსტიქტურია, რომ არ ვაქცევთ ყურადღებას როდის, რას და რა რაოდენობით მივირთმევთ. თუმცა, ეს უმნიშვნელოვანესია, რადგან ვერც ვარჯიში, სუფთა ჰაერი და მშვიდი ცხოვრება ჯანმრთელობაზე დადებით გავლენას ვერ მოახდენს, თუ ამ ყველაფერს სწორი კვება არ უწყობს ხელს.**

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის უკანასკნელი მონაცემებით ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას 15%-ით გენეტიკური თავისებურებები, 15%-ით რეგულარული სამედიცინო კონსულტაცია და 70%-ით სწორი ცხოვრების წესი და კვება განსაზღვრავს.

სწორი კვება საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ ან შევამციროთ ქრონიკული დაავადებების რისკი, შევინარჩუნოთ ჯანმრთელობა და გარეგნობა.

დღესდღეობით ძალიან ბევრი ადამიანი იცავს დიეტას, განურჩევლად ასაკისა და წონისა, მაგრამ რა არის სინამდვილეში დიეტა და რამდენად სწორად გვესმის ამ სიტყვის მნიშვნელობა? რატომღაც ადამიანებს წარმოუდგენიათ, რომ დიეტა ეს არის კვების შეზღუდვა, გემრიელ და მრავალფეროვან საკვებზე უარის თქმა, თუმცა დიეტის თავდაპირველი, ძველბერძნული მნიშვნელობა ბევრად უფრო ფართო იყო და ის ფაქტობრივად ცხოვრების წესს აღნიშნავდა.

ხშირად ადამიანი შეგნებულად ამბობს უარს კონკრეტულ პროდუქტებზე. ვეგეტარიანელი ეს არის ადამიანი, რომელიც არ ჭამს ხორცპროდუქტებს. ზოგადად უკვე დიდი ხანია ცნობილია, რომ ვეგეტარიანელები უფრო დიდხანს ცოცხლობენ და უფრო ჯანმრთელები არიან. ვეგეტარიანული კვება არაერთი დაავადების რისკს ამცირებს, მათ შორის ჭარბწონიანობას, ჰიპერტონიას, არტერიულ დაავადებებს, დიაბეტსა და ავთვისებიან სიმსივნეებს.

ვეგანობა და ვეგეტარიანელობა მთელ მსოფლიოში აქტუალური საკითხია და




საქართველოც არ ჩამორჩება სხვა ქვეყნებს. ხუთი წლის წინ თუ არავინ იცოდა რას ნიშნავდა ეს, დღეს თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებსა თუ სოფლებში ბევრი ვეგანი თუ არა ვეგეტარიანელი მაინც არის.

ეტაპობრივად ვითარდება ამ იდეოლოგიის მატარებელი ადამიანების ხელშემწყობი კულტურა. მართალია მიზერულად, თუმცა შესაბამისმა დაწესებულებებმა უკვე დაიწყეს მენიუში სპეციალური ადგილების გამოყოფა და ვეგეტარიანული კერძების დამატება. ეს ვეგეტარიანელებს აკმაყოფილებდათ, თუმცა ვეგანებს - არა. და, მათ ვეგანური კაფეს გახსნა გადაწყვიტეს, სადაც ხალხს შეეძლებოდა დაეგემოვნებინა ვეგანური კერძები. ჩვენ გავესაუბრეთ ვეგანური კაფე „კივის" დამფუძნებელს გიორგი მიქაბერიძეს.

„კაფე პირველად, ვერცხლის ქუჩაზე, მე და ჩემმა მეგობრებმა გავხსენით. ჩვენი მიზანი იყო ქართველებისთვის და ასევე ტურისტებისთვის ყოფილიყო ისეთი ადგილი, სადაც მათ შეეძლებოდათ შეკრება და ამ იდეოლოგიის გაზიარება, ისეთი საკვების მიღება, რომელშიც ხორცი არ იქნებოდა. რა თქმა უნდა, საზოგადოების მხრიდან, კერძოდ კი ვერცხლის ქუჩის მობინადრეებისგან წამოვიდა უარყოფითი რეაქცია. აპროტესტებდნენ, ამბობდნენ, რომ რაღაც გაურკვეველი სექტის წევრები ვიყავით. ამას ხელი არ შეუშლია ჩვენი კაფეს განვითარებისთვის. დღითიდღე ვფართოვდებოდით, ჩვენს საჯარო ლექციებსა და სხვადასხვა ღონისძიებებს სულ უფრო მეტი ადამიანი ეხმაურებოდა, ამიტომ გადავწყვიტეთ, გავფართოებულიყავით. უამრავი პრობლემის მიუხედავად, მაინც შევძელით ახალ, უფრო დიდ სივრცეში გადასვლა სოლოლაკში, ვანო მაჩაბელის 36-ში.

„უარყოფითი რეაქციის გარეშე ამასაც არ ჩაუვლია, ნაციონალისტური იდეოლოგიის მატარებელმა ადამიანებმა სცადეს ჩვენი კაფეს დარბევა და ტერიტორიაზე ხორცით შეიარაღებულნი შემოცივდნენ. ამ ინციდენტს მოჰყვა ძალიან დიდი გამოხმაურება არა მარტო ქართულ სვრცეში არამედ საზღვარგარეთაც. მომხდარ ფაქტზე წერდნენ მსოფლიოს უმსხვილესი მედია საშუალებები როგორიცაა სი-ენ-ენი. ბი-ბი-სი და სხვ.

„თუმცა ეს ყველაფერი არ არის, მსოფლიო დონის და ძალიან პოპულარულმა მომღერალმა და კომპოზიტორმა მობიმ საკუთარ სოციალურ გვერდზე გააზიარა მომხდარ ფაქტთან დაკავშირებული სტატია და დიდი ტექსტით გამოხატა სოლიდარობა.

„მოგეხსენებათ, ყველა პროტესტანტს ჰყავს მოწინააღმდეგე და ბუნებრივია, გარკვეული ჯგუფების აგრესია განვითარებაში ხელს ვერ შეგვიშლის. ვაწყობთ კინოჩვენებებს, საქველმოქმედო აქციებს, სხვადასხვა ღონისძიებებს, სადაც სულ უფრო მეტი ადამიანი იღებს მონაწილეობას. ვიცით, რომ საზოგადოებას ამ ყველაფრის შესაგუებლად დიდი დრო დასჭირდება, თუმცა ჩვენ მზად ვართ შეუპოვრად განვაგრძოთ ჩვენი საქმიანობა," - ამბობს გიორგი მიქაბერიძე.

სამედიცინო კუთხით, ვეგეტარიანული დიეტის დროს არის საშიშროება, რომ ადამიანს ბე-ვიტამინის ნაკლებობა და ცილის უკმარისობა ჰქონდეს.

ამის შესახებ გავესაუბრეთ მამუკა ხუნდაძეს (სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი, ვეგეტარიანელი), რომელმაც გვითხრა, რომ არსებობს ისეთი სახის პროდუქტები, რომლებიც შეიცავს იმავე ვიტამინებსა და ნივთიერებებს, რასაც ხორცი. სამი წელია, რაც ვეგეტარიანელია და ჯანმრთელობის არანაირი პრობლემა არ შექმნია.

„არიან ადამიანები, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ჯანმრთელობა, ცხოვრების ჯანსაღი წესი, კარგ ფორმაში ყოფნა, მაგრამ 21-ე საუკუნეში, როდესაც ყველა ძალიან დაკავებულია და ფიზიკურად ვერ ახერხებს ნორმალურ კვებას, ძირითადად სწრაფი კვების ობიექტებს მიმართავენ. მსგავსი საკვები იაფია, არ სჭირდება ლოდინი და კარგად ანაყრებს, მაგრამ სამწუხაროდ, დიდ ზიანს აყენებს ჩვენ ჯანმრთელობას. ფასტ-ფუდი მაღალი ცხიმის შემცველობით გამოირჩევა. რომელიმე სწრაფი კვების ობიექტში მიღებული ერთი ულუფა კალორიების დღიურ ნორმას არათუ აკმაყოფილებს, არამედ აჭარბებს კიდეც. ასეთი საკვები არაერთ ხელოვნურ ინგრედიენტს შეიცავს, როგორიცაა მაგალითად სიმინდის სიროპი, არომატიზატორები, გემოს გამაძლიერებლები და სხვა.

„არ ქვს მნიშვნელობა რამდენ კალორიას ვიღებთ, ვიცავთ თუ არა დიეტას, მთავარია გვახსოვდეს, რომ უნდა ვჭამოთ იმისთვის, რომ ვიცოცხლოთ და არა ვიცოცხლოთ იმისთვის, რომ ვჭამოთ."

# 2016 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები და IBSU



ქეთი მარგალიტაშვილი

**დასასრული**

ამასთან, წელს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს შემოემატა ეროვნულის შედეგების მიხედვით პირველ ასეულში მყოფი ორი და ორასეულში გასული ერთი სტუდენტი.

„შზსუ-ში ჩავაბარე იმიტომ, რომ თავიდანვე ძალიან მომწონდა გარემო, სწავლება და პროფესორები. უნივერსიტეტში მოსვლის შემდეგ კი მივხვდი, რომ აქაურობამ ჩემს მოლოდინს გადააჭარბა, საოცარი გარემოა," - აღნიშნა მარიამ ქსოვრელმა, რომელიც ეროვნული გამოცდების ოცეულში მოხვდა და ახლა შზსუ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და საინჟინრო საქმის ფაკულტეტის სტუდენტია.

საკონკურსო ქულებით მე-12 ადგილზე გასულმა მარიამმა დაფინანსებასთან ერთად სტიპენდიაც მოიპოვა. როგორც სტუდენტთა უმრავლესობა, სწავლასთან ერთად, იგი უნივერსიტეტში არსებულ გარემოსაც უსვამს ხაზს და ამბობს, რომ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

საქართველოს მასშტაბით უნივერსიტეტების რეიტინგში მოწინავე ადგილზე ყოფნა, კარგი სასწავლო პირობები და დაფინანსების პაკეტების სიმრავლე, ეს ის მიზეზებია, რის გამოც, ასეულში გასულმა ლევან კეიდიამ არჩევანი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტზე შეაჩერა.

როგორც ლევანი აღნიშნავს, უნივერსიტეტმა მას ყოველგვარი მოლოდინი გაუმართლა. 100%-იანმა დაფინანსებამ და ოქროს მედალმა სწავლის გადასახადი სრულად მოუხსნა, ასეულში მოხვედრამ კი „ჯიბის ფული" გაუჩინა სტიპენდიის სახით. ახლა ისღა დარჩენია, ხარისხიანი სწავლის მიღებაზე იზრუნოს.

„ამ ეტაპზე ვიღებ ხარისხიან განათლებას, რომელიც უპირველესია ნებისმიერ პროფესიაში განვითარებისთვის. ამავდროულად, როგორც გავიგე, უნივერსიტეტი თანამშრომლობს რამდენიმე ლიდერ კომპანიასთან საქართველოში, მათთან მუშაობა კი უდიდესი გამოცდილება იქნება ჩემთვის," - ამბობს ლევანი.

100%-იანი გრანტის მფლობელი, ოქროს მედალოსანი, ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით ორასეულში გასული ქეთი მარგალიტაშვილიც შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტია.

როგორც ქეთი გვიყვება, მან შზსუ-ს შესახებ პირველად 2014 წელს თავისი თანასკოლელისგან გაიგო, რომელიც იმ წელს აბარებდა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში. სწორედ მან მიაწოდა ინფორმაცია იმ შეღავათების შესახებ, რომელსაც უნივერსიტეტი თავის მომავალ სტუდენტებს სთავაზობს.




მარიამ ქსოვრელი

„შზსუ არის ერთადერთი ადგილი, სადაც მოსწავლეებს უფასდებათ ის დიდი ღვაწლი, რომელიც ოქროს, ვერცხლის მედლისა თუ გრანტის მოსაპოვებლად გაწიეს. სწორედ უფასოდ სწავლის შესაძლებლობა იყო პირველი მიზეზი, რის გამოც, შევაჩერე არჩევანი ამ უნივერსიტეტზე," - გვითხრა ქეთიმ.

# სტალინის „ბოლო ღამე“ – იბსუს თეატრალური დასის წარმატება

მინდია გაბაძე

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის თეატრალურმა კლუბმა მონაწილეობა მიიღო მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ფესტივალში „ნიღაბი 2016“. იბსუს დასი მაყურებლის წინაშე ლაშა ბუღაძის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლით – „ბოლო ღამე“ – წარსდგა. დადგმის რეჟისურა გეგა გაგნიძეს ეკუთვნის, ქორეოგრაფია დიანა ჯალაღანიას, ხოლო როლებში იბსუს მაღალკურსელებთან ერთად პირველ კურსელების დებიუტიც შედგა. სპექტაკლში მონაწილეობდნენ: ჯარჯი სუხაშვილი, თეკლა ტაბატაძე, ზურა ცირამუა, დიანა ჯალაღანია, სოფიო ფერაძე, მაქსიმე ბაქრაძე და დათო პეტრიაშვილი.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი – „ნიღაბი 2016“ გამარჯვებულთა შორის ჩვენი დასის მსახიობები თეკლა ტაბატაძე (ქალის კომედიური როლის საუკეთესოდ შემსრულებელი) და ჯარჯი სუხაშვილი (მამაკაცის კომედიური როლის საუკეთესოდ შემსრულებლის სამეულში) მოხვდნენ.





# თეატრალური სამყარო – ფარდის მიღმა დანახული მშვენიერება

ანა ბარნაბიშვილი

**იმ მშვენიერ და მომხიბვლელ სამყაროს, რომელსაც თეატრს უწოდებენ, ბავშვობიდანვე ვეზიარებით... თეატრის ფარდის გახსა ცხოვრების კარის გახსნას ჰგავს... გაიხსნება ფარდა და ჩვენ წინაშე წარმოსდგება სინამდვილის მხატვრული მოდელი, ამოძრავებული, ცოცხალი, თითქმის ზუსტად ისეთი, როგორიც არსებობს, როგორიც შეიძლება სინამდვილეში ყოფილიყო...**

სცენაზე მომხდარი ამბები იმდენად ჰგავს ყოველდღიური ცხოვრების სურათებს, რომ მის გასაგებად და ასათვისებლად საკუთარ თავზე დიდი ძალისხმევა არ გვჭირდება... თეატრი ცხოვრების სარკეაო, გვასწავლიდა დიდი ილია. მართლაც, სინადვილის პოეტური, სცენური ორეული ერთი პირველთაგანია იმათ შორის, რომელიც გზას უკვალავს ადამანს და წინ მიუძღვის ცხოვრების რთულ ლაბირინთებში.

ადამიანს ავისა და კარგის, კეთილისა და ბოროტის გასარჩევად, მის ერთგულ მრჩევლად, ჭკუისა და გონების დამრიგებლად თეატრიც ეხმარება. ხელოვნების დარგებიდან თეატრი ყველაზე გასაგებ, ყველაზე მისაწვდომ ენაზე მართავს საუბარს ადამიანებთან... ამიტომაცაა, რომ ცხოვრების დედა ენის, ხელოვნების ანბანის, სილამაზისა თუ მშვენიერების ერთ ერთ პირველწყაროდ თეატრიცაა მიჩნეული...

ჩვენ ხშირად ვწვევივართ თეატრებს, ვეცნობით ახალ დადგმებს, პიესებს, მსახიობებს, რეჟისორის ნამუშევარს, ვიხიბლებით წარმოდგენის მუსიკალური გაფორმებით, მხატვარ-დეკორატორის ხელოვნებით, ქორეოგრაფიით და სცენაზე მომხდარი ამბებით, თუმცა იშვიათად გვიფიქრია, ალბათ, იმაზე თუ რამდენი შრომა და დაბრკოლების გადალახვა მოუწია რეჟისორსა და მსახიობებს ამ ყველაფრის მისაღწევად...

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის 21 წლის რეჟისორმა გეგა გაგნიძემ უმაღლესი განათლების მიღება ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფილოსოფიის მიმართულებით დაიწყო, შემდეგ კი საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში დრამის რეჟისურაზე განაგრძო.

მისი დასი იმ 15 ადამიანისგან შედგება, რომლებმაც წარმატებით გაიარეს ქასთინგი, სადაც მათი მეტყველება, პლასტიკა და ვოკალი შეაფასეს... იმის გამო, რომ უნივერსიტეტში საკუთარი სარეპეტიციო აუდიტორია არ აქვთ, ისინი რეპეტიციებს სანკოფერენციო დარბაზში, სტუდენტების დასასვენებელ ოთახსა ან რომელიმე თავისუფალ აუდიტორიაში ატარებენ... მიუხედავად ამისა, მათ უკვე დადგეს რამდენიმე სპექტაკლი: ლაშა თაბუკაშვილის „მერე რა, რომ სველია სველი იასამანი?!“, აგრეთვე ლაშა ბუღაძის „ბოლო ღამე“.

სპექტაკლები წარდგენილი იყო საერთაშორისო სტუდენტურ თეატრალურ ფესტივალზე „ნიღაბი 2015“ და „ნიღაბი 2016“. მოყვარულმა მსახიობებმა ფესტივალზე მოიპოვეს ნომინაციები : „მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა ასოციაციის რჩეული“, „ელექტრონული ბიბლიოთეკა საბას რჩეული“, „ქალის კომედიური როლის საუკეთესოდ შემსრულებელი“ და სხვა.

შემდეგი სემესტრიდან ახალ სპექტაკლზე მუშაობას იწყებენ, რომლის სახელსაც ჯერ არ ამხელენ... მათი სამომავლო გეგმაა საკონფერეციო დარბაზში სპექტაკლებისთვის სათანადო განათების დაყენებაა, რათა მომავალში შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს ჰქონდეს საკუთარი პატარა და საინტერესო თეატრი.

27 წლის მსახიობი და რეჟისორი კახა იაკობიძე მრავალი წელია რაც თეატრში მოღვაწეობს. ის აგრარულ უნივერსიტეტში კვების პროდუქტების ტექნოლოგიის მიმართულებით სწავლობდა. ჯერ კიდევ სწავლის პერიოდში გაიგო იმის შესახებ, რომ ამ უნივერსიტეტში არსებობდა თეატრალური დასი, რომელსაც ქასთინგი ჰქონდა გამოცხადებული. ქასთინგზე მან ლექსი და პროზაული ნაწარმოები წაიკითხა, რის შემდეგაც დასს შეუერთდა. მას დაახლოებით 20-22 როლი აქვს ნათამაშები თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების სცენაზე. არც თუ ისე დიდი ხნის წინ კი რეჟისორის ამპლუაშიც გააცნო თავი საზოგადოებას. მან მსახობებს ქასთინგზე იგავ-არაკები წააკითხა და ეტიუდები დაადგმევინა, ვინც დარჩა, პიესები დაურიგა, რამდენიმე მსახიობი გაანაწილა თითო როლზე, შემდეგ აქედან აარჩია იმის მიხედვით, ვინც უფრო კარგად გაართვა თავი. მეორე სპექტაკლზე მუშაობა უკვე დაწყებული აქვს, რომელიც კობა ცხაკაიძის პიესების მიხედვითაა და დაარქვა „მხიარული უბედურება“.

30 წლის რეჟისორს, ნიკა ლუარსაბიშვილს საკუთარი თეატრალური სტუდია „პიერო“ აქვს დაარსებული და მუშაობს ახალგაზრდულ თეატრში, სადაც რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელია. ის ჯერ თსუ -ს მექანიკა-მათემატიკაზე სწავლობდა, შემდეგ მარკეტინგი დაამთავრა და ბოლოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში დრამის რეჟისურა დაამთავრა. ქასთინგზე მსახიობებს სამსახიობო მონაცემებისა და ცოტათი „პიეროელობის“ მიხედვით არჩევს. „პიეროელი“ მეოცნებე მეზღაპრეს ნიშნავს. ოთხი სპექტაკლი აქვს დადგმული მარჯანიშვილის, თუმანიშვილსა და ერისთავის თეატრებში, დანარჩენი კი მოზარდებთან სხვადასხვა სკოლებსა და უნივერსიტეტებში.

# თბილისის მე-17 საერთაშორისო კინოფესტივალი

ანა ნავდარაშვილი

**თბილისში რიგით მე-17 საერთაშორისო კინოფესტივალი გაიმართა, რომელიც წლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენაა.**

კინოფესტივალი 28 ნოემბერს ოფიციალურად გაიხსნა გერმანელი რეჟისორის, მარგარეტე ფონ ტროტას ფილმით „როზა ლუქსემბურგი“, რომელიც ევროპაში მოღვაწე მემარცხენე პოლიტიკური აქტივისტის, ფილოსოფოსისა და თეორეტიკოსის როზალია ლუქსემბურგის ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს.

ფილმი ეკრანებზე 1986 წელს გამოვიდა და მალევე მოიპოვა მსოფლიო აღიარება, ხოლო მთავარი როლის შემსრულებელმა, ბარბარა სუკოვამ კანის კინოფესტივალზე საუკეთესო მსახიობის ჯილდო დაიმსახურა.

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალს ასეთი ტრადიცია აქვს: კინოს საშუალებით ცნობიერების ამაღლებისა და მაყურებლის საზოგადოებრივ მოვლენებში ჩართულობის მიზნით ფესტივალი ყოველ წელს აქტუალურ პრობლემას ირჩევს და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. 2016 წელი პოლიტიკის, პოლიტიკოსების და არჩევნების წელი იყო. შესაბამისად, ფესტივალის მთავარი თემაც პოლიტიკაა.

წელს პოლიტიკური კინოსადმი მიძღვნილი სექციის, ՈՃՈ ՀՆՂՃՆՃՈ („პოლიტიკური ცხოვრება“) მიზანია, მაყურებელს შეუქმნას ზოგადი წარმოდგენა „პოლიტიკურის“ თანამედროვე შინაარსის შესახებ. პოლიტიკა და კინო ერთმანეთთან მჭიდროდაა გადაჯაჭვული. პოლიტიკურ რეჟიმს არაერთხელ შეუცვლია კინემატოგრაფიის სტილისტიკა და პირიქით, კინო ხშირად აძლევდა ბიძგს მნიშვნელოვან პოლიტიკური ცვლილებებს. სწორედ უსამართლო იდეოლოგიისა და მიუღებელი რეჟიმის წინააღმდეგ მიმართულმა ნამუშევრებმა წარმოშვა არაერთი მნიშვნელოვანი მოძრაობა, რომლებმაც თავის მხრივ სრულიად ახალ კინოაზროვნებას დაუდეს საფუძველი.



ფესტივალის ფარგლებში ტრადიციულად იყო პროგრამა „ქართული პანორამა“, რომელიც 2016 წლის 20 ყველაზე მნიშვნელოვან, მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმს აერთიანებდა.

წელს პირველად საერთაშორისო კონკურსში ორი ქართველი რეჟისორის ფილმი მონაწილეობდა, რეჟისორ ნინო ბასილაიას „ანას ცხოვრება“ და რუსუდან გურჯიძის „სხვისი სახლი“.

თბილისის მე-17 საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებული წელს გახდა ქართველი რეჟისორი რუსუდან გურჯიძე. მან ოქროს პრომეთე მოიპოვა ფილმისთვის „სხვისი სახლი“.

საერთაშორისო კონკურსის ჟიურის თავმჯდომარის, ფრანგი მსახიობის, ალექსანდრა სტიუარტის განცხადებით, რუსუდან გლურჯიძის ფილმს ჯილდო მისი ორიგინალურობიდან და მაღალი ვიზუალური შესრულებიდან გამომდინარე გადაეცა. ჟიურიმ გლურჯიძის ინდივიდუალური ხედვა და ფილმის საინტერესო თემატიკა მოიწონა.

„სხვისი სახლი“ აფხაზეთის ომის შემდეგ გადარჩენილი ორი ოჯახის ამბავს გვიყვება, რომლებიც ქალაქიდან მოშორებით, მიტოვებულ სოფელს აფარებენ თავს. ეს არის სახლები, სადაც ომში დამარცხებულები ცხოვრობდნენ. რეჟისორის თქმით, „სხვისი სახლი“ იმ განცდებს ასახავს, რასაც ეს ადამიანები კონფლიქტურ რეგიონში, სხვის სახლში ცხოვრებისას განიცდიან.

ფილმში მთავარ როლებს ოლგა დიოვიჩნაია, ია სუხიტაშვილი, სალომე დემურია და ზურაბ მაღალაშვილი ასრულებენ.

საერთო ჯამში, ფესტივალის თარგლებში 100-ზე მეტი ფილმი იქნა ნაჩვენები. ფესტივალის დახურვის ცერემონია ოფიციალურად 4 დეკემბერს გაიმართა.

# ფოტორეპორტაჟი: „გაძვირებული“ დოლარი და „ვაგზლის ბაზრობის“ მოვაჭრეები

თეო გუდავაძე

**სამომხმარებლო ბაზარზე პროდუქტების ფასები, ჯერ კიდევ ცვლილებების პროცესშია. ლარის კურსის გაუფასურების პარარელურად, სხვადასხვა პროდუქტის ღირებულება ეტაპობრივად იზრდება. ამას ემატება საახალწლო მზადება და როგორც ყოველთვის ფასებზე გავლენას ეს დღესასწაულიც ახდენს. ხალხიც სურსათის გაძვირებას გაუფასურებულ ლარს აწერს და პროტესტს გამოთქვამს.**

პირველადი მოხმარების პროდუქტები 5-დან 10-თეთრამდე გაიზარდა, ბოსტნეული კი 40-50 თეთრით გაძვირდა, ერთი ლარით გაიზარდა ყველისა და ხორცის ფასიც.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ფასების ზრდა აქ შეწყდება, რადგან ხალხს ფული არ აქვს და ბაზარი თითქმის ცარიელია.

მოვაჭრეებისთვის პროდუქტის გაძვირება მხოლოდ და მხოლოდ უკან სვლას ნიშნავს, განსაკუთრებით გაძვირებულია იმპორტირებული და საახალწლო სუფრი პროდუქტები.

ნიგოზი ოთხი ლარით გაძვირდა მისი ფასის მომატებას ახლაწლამდე ისევ ელიან. მოვაჭრეები ამბობენ, რომ ხალხი ბაზარში არ დადის, რადგან ფული არ აქვთ და ვინც დადის, ისიც იმდენად მცირე რაოდენობას ყიდულობს, რომ ხშირ შემთხვევაში დღის ბოლოს ყუთებიდან ამოულაგებელი პროდუქტი რჩებათ.

ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური ფონი ხალხში პანიკას თესავს და მოსახლეობა დღითიდღე მდგომარეობის გაუარესებას ელის. ცდილობენ თანხები დაზოგონ და საახალწლოდ მცირე მარაგი მაინც გააკეთონ.

ლარის კურსის გაუფასურებას საკმაოდ ბევრი რამის გაძვირება მოჰყვა. ამას ცუდად დაემთხვა ისედაც რთულად გადასატანი გამოზამთრების პერიოდი. ხალხი პანიკაშია და მოსალოდნელი შიმშილის ეშინიათ.

გარემოვაჭრეები კი ფიქრობენ, რომ ბაზარში აწეული ფასები არაადეკვატურია, რადგან ხალხი არც დაბალ ფასად ყიდულობს პროდუქტს და მითუმეტეს გაძვირებულ პროდუქტს არ გაეკარება.

ჩვენ დავინტერესდით ერთ-ერთი გარემოვაჭრის აზრით და გავესაუბრეთ მას შექმნილ ვითარებაზე. მაყვალა გვენეტაძე 62 წლისაა. ის წლებია. ე.წ. „ვაგზლის ბაზრობის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ზის და სეზონურად ყიდის პროდუქტს.

მისი თქმით, მდგომარეობა ქვეყანაში უკიდურეს ზღვარს უახლოვდება და ხალხს გაუსაძლის პირობებში უწევს ცხოვრება.

„რაც დოლარი გაძვირდა, უკან-უკან წავედით. ხალხი, ვისაც ბანკიდან სესხი დოლარში აქვს გამოტანილი, მითუმეტეს საშინელ მდგომარეობაშია. ამ ყველაფრის ფონზე პროდუქტის გაძვირება არაადამიანური და არარეალური რამეა... ხალხი შიმშილით მოკვდება, მართალია დოლარის გაძვირებას პროდუქციის გაძვირებაც მოჰყვა, მაგრამ მე ვცდილობ, იგივე ფასები შევინარჩუნო შიგნით ბაზარში. როგორც ვიცი, ოდნავ მოიმატა ფასებმა. მეც რომ გავზარდო, ისედაც არაფერი მეყიდება და მილპება ბოსტნეული, და მერე მითუმეტეს ძვირად ვინ იყიდის?! ხალხს ფული არ აქვს.“


Photo: Nina Lorthkipanidze




Photo: Nina Lorthkipanidze


Photo: Nina Lorthkipanidze


Photo: Nina Lorthkipanidze






Photo: Nina Lorthkipanidze


Nina Lorthkipanidze



ნინო ლორთქიფანიძის ფოტოები

# თბილისური პარკინგი















IBSU NEWS
მთავარი რედაქტორი თამარ გეგენავა;
რედაქტორი თამუნა გრირალაშვილი